საბჭოთა კავშირის მშრომელნო! უფრო მაღლა ასწიეთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, ხუთწლედის ვადამდე დასამთავრებლად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისთვის სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საკრებულოს მოწოდებიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№78 (4072) 21

1970 წ. აპრილი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

სსრ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ბელადის იუბილეს მიუძღვნეს

მეაბრეშუმეებმა ყველას აჯობეს

თვეზე მეტს გასტანა მახარაძის „განთიადის“ სპარტაკიადამ, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. აბრეშუმის ფაბრიკამ (მეთოდისტი ჯ. მღინარაძე) ყველაზე კარგად მოამზადებული გუნდები გაშოიგანა, 12 საჯარიმო ქულა მიიღო და საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა დასაკუთრა. ამ კოლექტივის სპორტსმენებმა I ადგილები დაიკავეს ფრენბურთელ ქალთა, კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა შეჯიბრებებში, II — შაშში, ფრენბურთელ ვაჟთა ტურნირში და მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში კი III ადგილზე გავიდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში II ადგილზეა მაღაროთა სამძართველოს ნაკრები, რომელმაც ყველას აჯობა მაგიდის ჩოგბურთში, II ადგილები მოიპოვა კალათბურთელ და ფრენბურთელ ქალთა, III — ფრენბურთელ და კალათბურთელ ვაჟთა, აგრეთვე, მოშაშეთა შეჯიბრებებში.

ჩაის № 1 და № 2 ფაბრიკების ფიზკულტურელებმა III-IV ადგილები გაიყვეს. № 1 ფაბრიკამ მოიგო მოჭადრაკეთა ტურნირი, № 2 ფაბრიკამ კი მოშაშეთა შეჯიბრება. ეს კოლექტივი III ადგილზე გავიდა მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთელ და ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრებებში.

ნატანების ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა ყველას აჯობა ფრენბურთელი ვაჟების ტურნირში, კალათბურთელმა ვაჟებმა კი II ადგილი დაისაკუთრეს. ჭადრაკში მეორე იყო ნაგომრის ჩაის ფაბრიკის ნაკრები.

დაკომპლექტდა „განთიადის“ ნაკრები გუნდები, რომლებიც 22 აპრილიდან რაიონულ სპარტაკიადაში ჩაებმებიან.

შ. კილურაძე.
(ჩვენი კორ.).

მახარაძე.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში

ჯილდოები ღირსეულთ

საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის მზადების პერიოდში დიდ წარმატებებს მიაღწიეს; საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შარშანდელი გეგმა-ვალდებულებანი. 1969 წლის მანძილზე რესპუბლიკის ფიზკულტურელთა რიცხვი 13 472 კაცით გაიზარდა და ამჟამად მოსახლეობის 24,3 პროცენტს შეადგენს, მომზადდა 6 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 218 სპორტის ოსტატი, წინა წელთან შედარებით 4191-ით მეტი ოსტატობის კანდიდატი და თანრიგოსანი. შარშან საქართველოს სპორტსმენებმა საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში ოქროს 71, ვერცხლის 46 და ბრინჯაოს 40 медალი მოიპოვეს.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის, ქუთაისის, ფოთის, გორის, რუსთავის საქალაქო სამტრედიის, მახარაძის, ზუგდიდის, ონის, ორჯონიკიძის, თელავის, დუშეთის რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა, რომლებმაც ფიზკულტურელთა რიგებში გააერთიანეს მოსახლეობის 30-35 პროცენტი, გადაჭარბებით შეასრულეს ყველა გეგმა-ვალდებულება.

თბილისში ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა 134 სპორტის ოსტატი მოამზადეს, ქუთაისში — 31, აჭარაში — 21, აფხაზეთში — 17, გორში — 8, რუსთავში —7, სამხრეთ ოსეთში, სამტრედიაში, მახარაძისა და ზუგდიდში — 2-2, ბაშაში, კასპში, თელავში, ორჯონიკიძეში, ხაშურში — თითო.

კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ, აგრეთვე, ჭიათურის, ტყიბულის, სიღნაღის, თერჯოლის, წალკისა და წყალტუბოს რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. რომლებმაც გეგმების ძირითადი მაჩვენებლები საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებათა გადაჭარბებით განაღდებისათვის ხაყოფილად იმუშავეს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების საბჭოებმა. მათ საწარმოო და ჰიგიენურ ტანვარჯიშში 850 ათასი მუშა, მოსამსახურე, კოლმეურნე და მოსწავლე ჩაბეს. ეს 37.132 კაცით აღემატება წინა წლის მაჩვენებლებს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შარშან მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისთვის დაჯილდოვა:

გარდამავალი წითელი დროშებითა და საპატიო სიგელებით — თბილისისა და ქუთაისის საქალაქო, სამტრედიის, მახარაძისა და ზუგდიდის რაიონული ფიზკულტურის კომიტეტები, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო;

გიმპელებითა და საპატიო სიგელებით — „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოები;

საპატიო სიგელებით — აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ფოთის, გორის, რუსთავისა და ჭიათურის საქალაქო, ტყიბულის, თელავის, ონის, ხაშურის, ორჯონიკიძის, დუშეთის, ბაშის, კასპის, თერჯოლის, სიღნაღის, წალკისა და წყალტუბოს რაიონების ფიზკულტურის კომიტეტები, „სპარტაკის“, „ბურევესტნიკის“, „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვების“, „ვოდნიკის“ რესპუბლიკური საბჭოები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპორტული განყოფილება, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტული კლუბი.

ფიზკულტურული ორგანიზაციების უნარიანი ხელმძღვანელობისთვის ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან ერთი თვის ხელფასით დაჯილდოვდნენ ფიზკულტურის კომიტეტების თავმჯდომარეები: გ. შარაშიძე (თბილისი), ჯ. გუბაზი (აფხაზეთი), ზ. მამუკაძე (აჭარა), ა. თედეევი (სამხრეთ ოსეთი), ლ. ახვლედიანი (ქუთაისი), ზ. ბარათაშვილი (ჭიათურა), ო. ჯეგაშვილი (რუსთავი), ვ. ოქრუაძე (ტყიბული), გ. შეყინწოშვილი (გორი), ბ. გოგიჩაიშვილი (ფოთი), კ. ხორავა (ზუგდიდი), გ. კილაძე (სამტრედია), ს. ტყებუჩავა (აბაშ.), ო. კიმინსკი (მახარაძე), ა. ჩარექიშვილი (თერჯოლა), თ. ბეჟაშვილი (სიღნაღი), შ. ქოჩლაძე (ონი), ა. მაჭავარიანი (ორჯონიკიძე), ნ. პელევანოვი (წალკა), კ. ხვედელიანი (ხაშური), მ. კარიაული (დუშეთი), გ. კიკაჩეიშვილი (კასპი), ვ. სახიევი (თელავი) და შ. კინწურაშვილი (წყალტუბო).

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საქართველოს პროფსაბჭოს, განათლების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის წინაშე დასვა საკითხი სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელთა — ვ. დიდიძის („დინამო“), ი. ბოჭორიძის („განთიადი“), ვ. ყენტის („კოლმეურნე“), გ. ცქიტიშვილის („ბურევესტნიკი“), ა. კორინთელის („სპარტაკი“), თ. კაჭახიძის („ლოკომოტივი“), მ. სოკოლოვსკის („შრომითი რეზერვები“), ვ. იორაიშვილის („ვოდნიკი“), ი. ბაცელაშვილის (განათლების სამინისტრო) და ა. კუხნინიძის (ასკ) თითო თვის ხელფასით დაჯილდოების შესახებ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან.

ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა სპორტული საზოგადოებისა და უწყებების ხელმძღვანელებს ურჩია განსაკუთრებით აქტიური მუშაკების ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება.



ულიანოვსკი — დაუგავპილსი



1970 წლის 11 აპრილს — საკავშირო შაბათობის დღეს, ულიანოვსკში, ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე სტარტი მიეცა მრავალდღიან მარათონულ ესტაფეტას მარშრუტით ულიანოვსკი — დაუგავპილსი. მონაწილეებს 2000 კილომეტრი უნდა გადაელახათ.

დაუგავპილსის სპორტსმენებმა ლენინის ხიმშობლოდან წაიღეს მეწ და იგი თავიანთ ქალაქში, ბელადის ძეგლთან დაყარეს. ესტაფეტის ფინიში 19 აპრილს მოეწყო.

ს ურ ა თ ზ ე: გადარბენის მონაწილეები დისტანციაზე.

ფოტო ი. დენისენკოსა და ი. ევსიუკოვისა.

ბოგუსმა კვლავ გვაასახელა

ამას წინათ ხარკოვში ჩატარდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების კოლექტივები. საქართველოს ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში III საპრიზო ადგილი დაიკავა და ქუდით ჩამორჩა მოსკოველ თანაკლუბელებს. ჩემპიონი გახდა რსფსრ-ს გუნდი.

ძალიან საინტერესო გამოდგა ვაჟთა ბრძოლა აბსოლუტური პირველობისთვის. როგორც მოსალოდნელი იყო, თავიდანვე დაწინაურდა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი შ. ვორონინი (მოსკოვი). ქების ღირსია ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი შ. ბოგუსი. I ადგილი დაიკავა ვორონინმა — 115,0. II ადგილზეა ბოგუსი — 113,1, III — ვ. შამენკო (უკრაინა) — 112,05.

ქალთა შეჯიბრებაში დაძაბული ბრძოლა გაიაღდა ნ. ტურიშჩევას (რსფსრ), თ. ლაზაკოვიჩსა (ბელორუსია) და ზ. ვორონინას (რსფსრ) შორის.

ᲒᲐᲜᲗᲐᲠᲯᲘᲨᲘ

კარგად გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი რ. ბერიკაშვილი, რომელმაც ორძელზე III ადგილი დაიკავა. მოულოდნელი მარცხი იწვნია რ. სიხარულიძემ: ერთ-ერთ იარაღზე მან დაბალი შეფასება (7,9) მიიღო და ფაქტიურად გამოეთიშა საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას.

Გ. ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

• • •

ცალკეულ იარაღებზე ვაჟთა შორის ადგილები ასე განაწილდა: **თავისუფალი ვარჯიში.** 1. ვორონინი — 19,15, 2. ვ. ილინიხი — 18,775, 3. შამენკო; **ტაიჭი.** 1. ვორონინი — 19,425, 2. ვ. ლოგინოვი — 18,9, 3. ბოგუსი — 18,85; **რგოლები.** 1. ვორონინი — 19,525, 2. ბოგუსი — 19,325, 3. ა. ნოზაძე — 18,6; **ხტომა.** 1. ვორონინი — 18,875, 2. ა. კარაპეტიანი — 18,575, 3. ბოგუსი — 18,525; **ორძელი.** 1. ბოგუსი — 19,35, 2. ილინიხი — 19,275, 3. შამენკო — 18,025; **ღერძი.** 1. ბოგუსი — 19,325, 2. ლოგინოვი — 19,125, 3. შამენკო — 19,025.

ᲥᲐᲚᲗᲐᲜᲘ. ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ. 1. ტურიშჩევა — 76,5, 2. ლაზაკოვიჩი — 76,45, 3. ვორონინა — 76,25.

რაკეტა ცურავს

სოხუმი

ოთხ დღეს მიმდინარეობდა აფხაზეთის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური შეჯიბრება ჭადრაკში. გიმარჯვა სოხუმის გუნდმა (რ. დადიანი, კ. და გ. ჯოჯუები, ლ. მელიქ-კაზარიანი, მ. შირინიანი). პირად ჩათვლაში უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს: ჭაბუკებში — რ. დადიანმა, გოგონებში — ლ. მელიქ-კაზარიანმა.

შ. ჯალაღონია.

გალი

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. მოჭადრაკეთა შორის უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს გალის მე-3 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა. მაგიდის ჩოგბურთში გამარჯვება იზეიმა ოტობაის საშუალო სკოლის გუნდმა.

ვ. ჯეჯელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალუქვაძე — 99 ქულა 100-დან!

ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის პირველობების ამდენ ჩემპიონს, პრიზიორსა და რეკორდსმენს ავჭალის სასროლეთში თავი არასოდეს მოუყრია. გ. კოსიხი, ვ. კორნეევი, ვ. პარხიმოვიჩი, რ. სულეიმანოვი, ა. მელნიკი, ვ. პოსტოიანოვი, ი. ნიკიტინი, ნ. სტოლიაროვა, ჟ. ზახარჩენკო, ბ. ზარინია, ნ. იბრაჰიმოვა... აი, იმ სპორტსმენთა არასრული სია, რომლებიც აქ სსრ კავშირის 8 უძლიერესი გუნდის ტურნირში გამოდიან.

შეჯიბრების ალამი ევროპის შარშანდელმა ჩემპიონებმა აღმართეს. ტურნირი ერთდროულად ორ ტირეში დაიწყო. პნევმატური შაშხანით 10 მეტრიდან სროლაში I ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ ქალები, ხოლო 50 მეტრზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში — ვაჟები.

სანამ სერიები დამთავრდებოდა, სსრ კავშირის სასროლო სპორტის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს მ. კორეისს ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა ამ შეჯიბრებაზე.

— პირველ ყოვლისა მინდა აღვნიშნო, რომ სასროლეთი ასპარეზობისთვის შესანიშნავად მოუმზადებიათ. ვიმედოვნებ, რომ მაღალი შედეგებიც იქნება ნაჩვენები. ეს ტურნირი ერთ-ერთი მოსამზადებელი პერიოდია საკავშირო პირველობისთვის, რომელიც აგვისტოში ოდესაში გაიმართება, და მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც 17-26 ოქტომბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის, საქართველოს, უზბეკეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე, სომხეთის, ესტონეთისა და ტაჯიკეთის (პირადი ჩათვლა) ის სპორტსმენები, რომლებმაც 1969-1970 წლების სეზონში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს ან გაიმეორეს. ეს კი ინტერესს უფრო ზრდის.

... ქალებმა პნევმატური შაშხანით სროლა დაამთავრეს. გამარჯვებულმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ტ. ჩერკასოვამ (რსფსრ) პირველი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 380 ქულა მოაგროვა 400-დან. II ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა მ. კისელიოვამ (ლენინგრადი) — 376, III — სპორტის ოსტატმა ბ. ზარინამ (ლატვია) — 374. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიდან ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა სპორტის ოსტატ ს. ბუჩუკურს — 363 ქულა, რამაც მას XI ადგილი მოუტანა.

გუნდურ ჩათვლაში ლენინგრადის ტრიომ (ლ. ფაგერიოვა, კისელიოვა, ვ. შლიკოვა) 1115 ქულა მოაგროვა. ესეც სსრ კავშირის ახალი რეკორდია ამ სახეობაში. II ადგილი დაიკავა რსფსრ-მ — 1104, III — მოსკოვმა — 1101. საქართველოს გუნდი (ბუჩუკური, ლ. ალიხანოვა, ნ. ერმიშიანი) 1059 ქულით VI ადგილზეა.

საინტერესოდ წარიმართა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შეჯიბრება. ვაჟთა ტურნირში ციცხლის ხაზზე გავიდა 3 სპორტის დამსახურებული ოსტატი და 6 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. მათ შორის იყო მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კოსიხი.

პირველი სერიის შემდეგ 98 ქულით დაწინაურდა სპორტის ოსტატი ვ. პეტროვი (ბელორუსია). მოსკოველი სპორტის ოსტატი გ. ზაპოლსკი მასთან 2 ქულას აგებდა. სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვ. სტოლიპინს, სპორტის ოსტატებს ა. მიტიუშინს (ორივე — ლენინგრადი), ვ. სალუქვაძეს (საქართველო) და ე. კარკაშიანს (სომხეთი) 95-95 ქულა ჰქონდათ.

პეტროვი მეორე სერიაში ცუდად ისროდა — 81 ქულა დააგროვა და ლიდერთა ჯგუფს გამოეთიშა. ზაპოლსკიმ 96 ქულა მოაგროვა და დაწინაურდა. ლიდერთა ჯგუფს შეემატა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ეგრიშინი (ლენინგრადი). სალუქვაძემ ამჯერად 92 ქულა დააგროვა და V ადგილზე გადაინაცვლა.

სამი სერიის ჯამში ზაპოლსკი ლიდერობას არავის უთმობდა. მასთან ეგრიშინი ქულას აგებდა, ხოლო სტოლიპინი, მიტიუშინი და სალუქვაძე — 4-4 ქულას. დარჩენილ სერიებში ლიდერები რამდენიმეჯერ შეიცვალნენ. ბოლო, მეექვსე სერიის წინ ეგრიშინს სალუქვაძე 7 ქულით ჩამორჩებოდა, მაგრამ მან ოთხქმის შეუძლებელი შეძლო: ამ სერიაში 100-დან 99 ქულა დააგროვა და 565 ქულით გაიმარჯვა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივამდე სალუქვაძეს მხოლოდ ქულა დააკლდა. ზაპოლსკიმ და ეგრიშინმა საბოლოოდ ერთნაირი შედეგი (564) აჩვენეს. II ადგილი ხვდა ზაპოლსკის, ვინაიდან ბოლო სერიაში მას უკეთესი შედეგი (94 ქულა) ჰქონდა. III ადგილზეა ეგრიშინი (91). კოსიხმა 550 ქულით XIX ადგილი დაიკავა.

გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა (ა. ზაბელინი, ეგრიშინი, სტოლიპინი, მიტიუშინი) — 2226 ქულა. II ადგილზეა რსფსრ — 2220, III — საქართველო (მ. პაპავა, ო. კვირიკაშვილი, სალუქვაძე, მ. ყამურაშვილი) — 2203.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მსროლელ ქალთა შეჯიბრებაში იმარჯვა სპორტის ოსტატმა ნ. ივანოვამ (ლენინგრადი) — 276. II ადგილზეა სპორტის ოსტატი ნ. რასკაზოვა — 274, III — სპორტის ოსტატი ვ. განინიუკი (ორივე — მოსკოვი) — 271 (განინიუკი სპორტის ამ სახეობას პირველად ქუთაისში ეწიარა. აქვე მიიღო მან პირველი თანრიგი).

საქართველოს წარმომადგენლებიდან ამ ვარჯიშში ყველაზე უკეთ სპორტის ოსტატი მ. ღვინერია გამოვიდა — 261 ქულით XIV ადგილი დაიკავა, სსრ კავშირის რეკორდსმენი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნ. სტოლიაროვა კი 257 ქულით XXIV ადგილს დასჯერდა.

გუნდურ შეჯიბრებაში ყველას აჯობა მოსკოვის კოლექტივმა (რასკაზოვა, გ. კონიახინა, განინიუკი) — 812 ქულა. მეორე იყო ლენინგრადელთა გუნდი — 804, მესამე — რსფსრ-ს ნაკრები — 786. საქართველოს წარმომადგენლები (ღვინერია, ო. კუდრიავცევა, ტ. კაზარიანი) 763 ქულით ბოლო ადგილზე დარჩნენ.

საერთო ლიდერობა ხელთ იგდო ლენინგრადის ნაკრებმა. II ადგილზეა მოსკოვის გუნდი, III — რსფსრ-ს კოლექტივი. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ბელორუსიის გუნდთან V-VI ადგილებს იყოფენ.

ასპარეზობა გრძელდება.

თ. ლეკიშვილი,
სპორტის ოსტატი.

ხურათზე: ვ. სალუქვაძე.
ფოტო ო. გელაშვილისა.

I ადგილზეა მე-11 სასწავლებელი

თბილისში, „შრომითი რეზერვების“ სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში, დამთავრდა პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა XXIII რესპუბლიკური (თბილისის ზონა) სპარტაკიადა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

ასპარეზობის პროგრამაში 9 სახეობა შედიოდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა მე-11 სასწავლებლის გუნდმა (13 საჯარიმო ქულა). ამ სკოლის წარმომადგენლებმა I ადგილები მოიპოვეს საგზაო-ტაქტიკურ ველოსრბოლაში, ტყვიის სროლაში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. II ადგილზე გავიდა 31-ე სასწავლებლის კოლექტივი (20 ქულა). მისი გამარჯვებით დამთავრდა ასპარეზობა კალათბურთსა და ფეხბურთში. III ადგილზე არიან მე-6 სასწავლებლის სპორტსმენები (29 ქულა), რომლებიც უძლიერესნი იყვნენ ფრენბურთსა და მძლეოსნობაში.

ა. ბურასაშვილი.

* * *



ხურათზე: „კლასიკოსთა“ ტურნირში გამარჯვებული (70 კგ), 31-ე სასწავლებლის მოსწავლე გ. შაყულაშვილი (ზემოდან) ილეთს უტარებს მეტოქეს.

ფოტო ავტორისა.

გაიცანით: ბობსლეი!

ამახ წინათ ბობსლეიში ორი ჩემპიონატი ჩატარდა: ევროპისა — იტალიის ქალაქ კორტინა დ'ამპეცოში და მსოფლიო — შვეიცარიის ქალაქ სანკტ-მორიცში. ამ შეჯიბრებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც შემთხვევითი არ იყო. ბობსლეი ადრე ზამთრის უველა ოლიმპიადის პროგრამაში შედიოდა. გამონაკლისი იყო მხოლოდ 1960 წლის ასპარეზობა სკვო-ველეში (აშშ). ეს სახეობა შეტანილი იქნება 1972 წლის თეთრი ოლიმპიადის პროგრამაშიც (საპორო).

ამბობენ, რომ ერთმა სპორტსმენმა ერთხელ გასართობად ერთი ციგა მეორეს გადააბა და ასე დაეშვა მთიდან. ეს გართობა ბევრს მოეწონა. შემდეგ ამავე სპორტსმენმა უკვე სამართავი ორადგილიანი ციგა გააკეთა, რომელსაც სახელად ბობსლეი ეწოდა. ეს იყო XIX საუკუნის მიწურულს.

დღევანდელი სამართავი ციგა ორი სხვადასხვა ნაწილისგან შედგება. პირველს საკით მართავენ, მეორე კი უმოძრაოა. თავდაპირველად ეკიპაჟი 3 ვაჟისა და 2 ქალისგან შედგებოდა. ახლა შეჯიბრებაში მხოლოდ ვაჟები მონაწილეობენ და ეკიპაჟში ან ორი სპორტსმენია, ან ოთხი.

საერთაშორისო წესების თანახმად, ორადგილიანი ბობსლეი ხეგრძით 270 სმ და წონით 165 კგ უნდა იყოს, ოთხადგილიანი კი შესაბამისად — 380 სმ და 230 კგ. ბობსლეით ეშვებიან ხანგრძლივად მოწყობილ ყინულის არხებში, რომელთაც მოსახვევებიც აქვთ. მაგალითად, სანკტ-მორიცის ცნობილი ტრასის სიგრძე 1614 მეტრია, სიმაღლეთა სხვაობა — 135 მ, მოსახვევი — 15. დაშვების დროს ხისწრაფე საათში 100 კმ-ზე მეტია.

ბობსლეი გავრცელებულია ავსტრიაში, ინგლისში, იტალიაში, რუმინეთში, საფრანგეთში, გფრ-ში, შვეიცარიაში, ჩეხოსლოვაკიასა და სხვა ქვეყნებში. ბობსლეის საერთაშორისო ფედერაციის ამჟამად 17 ქვეყნის სპორტსმენებს აერთიანებს.

სსრ კავშირში ბობსლეის პირველი ტრასა ახლახან გაჩნდა რიგაში. შემოგარენში. ლატვიის დედაქალაქში 1910 წელს რაღაც „ბობსლეი-კლუბის“ მაგვარიც კი არსებობდა. ახლა რესპუბლიკაში ბობსლეი კვლავ ინტერესს იწვევს. ამ ციგებით მოასპარეზე სპორტსმენები მეც მინახავს ცეხისში, სადაც მარტში მოეწყო საკავშირო შეჯიბრება ციგებით სწრაფდაშვებაში.

ბობსლეით დაინტერესებული არიან ავტომშენებელთა ახალგაზრდა ქალაქ ტოლიატის სპორტსმენებიც. მოტორბოლაში სპორტის ოსტატმა ი. პეტროვმა თავად გააკეთა ორადგილიანი ბობსლეი და უნდოდა ცეხისის ტრასაზე გამოეცადა იგი. მან მშვიდობიანად მიიტანა ციგა მოსკოვამდე, მაგრამ იქ ტვირთი „ილ-18“-ის საბარგულში არ ჩაეტია და პეტროვი იძულებული გახდა იგი აეროპორტში დაეტოვებინა.

მაშინ ენთუზიასტმა თავისი სამართავი ციგა მოსკოვის ახლოს მდებარე ტრასებზე გამოსცადა.

იქნებ ბობსლეი სხვებმაც მოიწონონ?

ბ. ხაჩკოვანიანი.
(საკდესის კორ.).

ᲥᲮᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲑᲘ

● **მინსკი**, 19 აპრილი. „ბელორუსიის თასზე“ მოფარიკავე ქალთა ტრადიციულმა ტურნირმა ამჯერად ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, გფრ-ის, შვეიცარიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებს მოუყარა თავი. პირად შეჯიბრებაში სამმა მოასპარეზემ — ა. პასკუმ (რუმინეთი), ოლიმპიურმა ჩემპიონმა ე. ნოვიკოვა-ბელოუამ (მინსკი) და 15 წლის მოსწავლემ ვ. ბუროჩკინამ (მოსკოვი) ფინალში 3-3 გამარჯვება მოიპოვეს და საჭირო გახდა დამატებითი ტურნირის გამართვა. ყველას აჯობა პასკუმ. II ადგილზეა ოლიმპიური ჩემპიონი, ხოლო III ადგილზე დარჩა მოსკოველი მოსწავლე.

● **ლენინგრადი**, 19 აპრილი. ორწლიანი შესვენების შემდეგ ცსკა-ს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა დაიბრუნა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული. ვერცხლს დასჯერდნენ ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონები — ალმა-ათის ბურევესტნიკელები, ბრინჯაოს მედლები კი მოიპოვეს დონის როსტოვის არმიელებმა. ყოველივე ეს „გადაწყვიტა“ დღეს აქ დამთავრებულმა საკავშირო პირველობის დასკვნითმა ტურმა.

● **მოსკოვი**, 19 აპრილი. დღეს აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და პრაღის „ტატრანის“ ფრენბურთელ ქალთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1 (15:9, 13:15, 15:7, 15:1). როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველი მატჩი პრაღაში ასევე დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:0. ამრიგად, მოსკოველები გავიდნენ გათამაშების ფინალში. მეორე ფინალისტს სსრ კავშირის ექს-ჩემპიონის ცსკა-სა და უნგრეთის ჩემპიონის მატჩები გამოავლენს.

● **მახაჩყალა**, 19 აპრილი. აქ დამთავრდა თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის XXV საიუბილეო ჩემპიონატის პირველი ნახევარი. ჩემპიონები გახდნენ: ბაქოელი რ. გაჯიევი (48 კგ), მახაჩყალელები ა. ალიევი (57 კგ), ნ. ნასრულაევი (68 კგ), ი. შახმურადოვი (82 კგ) და კრასნოიარსკელი ი. იარიგინი (100 კგ). გაჯიევი, ნასრულაევი და იარიგინი პირველად დაეუფლნენ ამ საპატიო წოდებას. დახარჩენ 5 წონით კატეგორიაში ჩემპიონატი ნოვოსიბირსკში გაიმართება.

● **ლოდერდეილი** (აშშ), 19 აპრილი. აშშ-ს ღია ჩემპიონატში კოშკიდან წყალში ხტომა დიდი უპირატესობით მოიგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა დიბიასიმ (იტალია) — 479,79 ქულა. ქალებში უძლიერესი იყო მასპინძელი ლოკეი — 338,55.

● **ბერლინი**, 19 აპრილი. გდრ-ის სპორტულ მოსიარულეთა შეჯიბრებაში ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონმა ჰოინემ 30 კილომეტრზე თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 2:19.19,4. ეს შედეგი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში.

● **ოგერვიზენტალი**, 19 აპრილი. „მფრინავ მოთხილამურეთა“ აქ გამართულ საერთაშორისო პირად შეჯიბრებაში ბრწყინვალედ გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიელები: ოლიმპიურმა ჩემპიონმა რაშკამ 229,3 ქულა დააგროვა (ნახტომები — 81 და 85 მ), რამაც მას I ადგილი მოუპოვა. II ადგილზეა ჰაინლი — 223,5 (ნახტომები — 84 და 81,5 მ).

ᲒᲖᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ!

ლონდონი, 19 აპრილი. „უეშბლის“ სტადიონიდან ამ დილით გრძელ და რთულ გზას დაადგა 25 ქვეყნის 96 ავტომობილანი, რომლებიც გაზეთ „დეილი მირორის“ მიერ ორგანიზებულ გიგანტურ ავტომარათონში მონაწილეობენ. მარშრუტი, რომელიც 25 ათას კილომეტრს მოიცავს, ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის გზებზე გადის. ლისაბონში მანქანებს დატვირთავენ ინგლისურ გემზე, რომელიც მათ რიო-დე-ჟანეიროში ჩაიტანს. თვით რბოლის მონაწილენი ატლანტის ოკეანეს თვითმფრინავებით გადაუფრენენ და შემდეგ გაგრძელებენ გზას 15 ამერიკული ქვეყნის ტერიტორიაზე.

რალის ფინიში მოეწყობა მეხიკოს „აცტეკის“ სტადიონზე, სადაც 31 მაისს იწყება მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. შეჯიბრებაში 43 სხვადასხვა მარკის მანქანები მიიღებენ მონაწილეობას. 14 საბჭოთა მრბოლელი „მოსკვიჩ-412“-ის ტიპის ხუთი ავტომანქანით გამოდის. სხვა მონაწილეთაგან განსხვავებით, საბჭოთა მრბოლელები სერიული მანქანებიდან უმოდიფიკაციოდ იასპარეზებენ. (საკდესი).

მე-8 რაუნდში...

მელბურნი. საშუალო წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა ბენვენუტომ (იტალია) აქ მე-8 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ამერიკელი ზანგი ბეტეა.

საქართველოს სპორტსმენი

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲠᲘᲐ

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს მოქადრაკეთა გუნდურ პირველობაში მხოლოდ ხუთმა კოლექტივმა (26-დან) მიიღო მონაწილეობა. ყველას აჯობეს წალენჯიხის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა, რომელთაც ყველა მეტოქე დაამარცხეს. II ადგილი ხვდათ ჯვარის გეგეჭკორის სახელობის, III — ოჩამჩირეს სახელობის კოლმეურნეობის მოქადრაკეებს.

ო. სალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ერთი, მეორე, ჯერ ორი

სამ დღეს, 17-დან 19 აპრილამდე გაგრძელდა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, VII ტურის მატჩები. ამ 3 დღის განმავლობაში შედგა 8 შეხვედრა, გატანილ იქნა 15 გოლი (აქედან — 10 მასპინძლებმა, როძლებმაც 16 შესაძლებლიდან აიღეს 11 ქულა).

შეივსო გათამაშების ცხრილის თითქმის ყველა სვეტი, გარდა რამდენიმესი: მოსკოვის „დინამოს" და „ნევთჩის" ჯერ არ წაუგიათ არც ერთი შეხვედრა, ხოლო „შახტიორს", მინსკის „დინამოს" და ორჯონიკიძის „სპარტაკს", პირიქით, ჯერ არ მოუპოვებიათ არც ერთი გამარჯვება. არის კიდევ ერთი „0". ეს მოსკოვის „დინამოს" მეკარე იაშინს ჯერ არ მიუღია ბურთი თავის კარში.

ბურთი არ გატანილა მატჩებში: მოსკოვის „სპარტაკი" — კიევის „დინამო" და დონის როსტოვის ახკ — „ნევთჩი".

საინტერესოდ მიმდინარეობდა მატჩი ტაშკენტში „ფახთაკორსა" და მოსკოვის „ტორპედოს" შორის. აქ წინ იუნენ ტორპედოელები, რომელთა მხრივ 2 გოლი გაიტანა შალიმოვმა. შემდეგომში მასპინძლებმა ჯერ გაუტოლეს ანგარიში (იბრაჰიმოვი, ისაკოვი), მერე კი მოიგეს კიდეც მატჩი (დოცენკო) — 3:2. მოსკოველებს ჯერ უშველია მინდორზე მეორე ტაიმში სტრელცოვის გამოყვანამაც.

კიდევ ერთ გამარჯვებას მიაღწია შინ „არარატმა". ერევნელებმა მოუგეს მინსკის „დინამოს" — 1:0 (იშტოიანი).

მოსკოვის დინამოელებმა შინ დიდი უპირატესობით ითამაშეს „ზარიასთან" და პირველი დამარცხება მიაყენეს მას — 3:0. ბურთები გაიტანეს კოზლოვმა (2) და ევრიუუიხინმა.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია თბილისელი გ. ნოდია. მის ანგარიშზე ახლა 6 გოლია.



სსრ კავშირის პირველობა

აი, ეს ქულებია!

ორჯონიკიძე. „სპარტაკის" სტადიონი. 18 აპრილი.

„სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:2 (0:1).

„სპარტაკი": კონფედერატი, ბიშიკაევი, პლიევი, ხუდიევი, კოჩიევი, მიროკოვი (პოდლუუინი), კაიტუკოვი, კაიშაური, პაპელიშვილი, ზაზროევი (აბაევი), სუანოვი.

„ტორპედო": გოგია, ჩხაიძე, წვერავა, შერგელაშვილი, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ერქომაიშვილი, ანფიმიადი (ქორიძე), ვეფუა, ხერხაძე, ციქავა.

მსაჯი ვ. ფარდმანი (ეისკი).

დუბლიორები — 1:1. გოლები გაიტანეს დელბამ („ტორპედო") და აბაევმა.

თვით იმ ფაქტში, რომ ქუთაისის „ტორპედომ", უმაღლესი ლიგის მრავალი წლის ბინადარმა, დაამარცხა დებიუტანტი, გასაკვირი ბევრი არაფერია. ქუთაისელებს მრავალი გამარჯვება მოუპოვებიათ შინაც და სტუმრადაც, ამასთან, გაცილებით უფრო ძლიერ მეტოქეებთან, ვიდრე ორჯონიკიძის „სპარტაკია".

მაგრამ გაანია გამარჯვებას, უფრო სწორად — დროსა და ვითარებას. ორჯონიკიძის სპარტაკელები ახლა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში არიან და ერთადერთი ქულით კიტავენ უმაღლესი ჯგუფის საბურნირო ცხრილს. ვისთან, თუ არა ქუთაისის „ტორპედოსთან", და ისიც შინ, უნდა ეფიქრათ მათ წარმატების მოპოვებაზე?

მაგრამ „სპარტაკი" ვერას გახდა ტორპედოელებთან. ნაწვიმარ მინდორზე დებიუტანტებმა მაღალი ტემპი შესთავაზეს სტუმრებს და სცადეს თავიდანვე აეღოთ ხელთ თამაშის სადავეები. ამ გეგმიდან არაფერი გამოვიდა, ვინაიდან ქუთაისელები თამაშობდნენ საიმედოდ, დამაჯერებლად და მათი იერიშები უფრო მწვავე, ეფექტური იყო. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ ტორპედოელებმა 30-ე წუთზე კიდევ ერთი ივრიში განახორციელეს და ქიქავამ ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმის დასაწყისი თითქმის მთლიანად სპარტაკელებისა იყო. გოგიას რამდენიმე ძალიან ძნელი ბურთის აღება მოუხდა, მაგრამ მან 77-ე წუთზე ვერ შეძლო ძლიერად დარტყმული ბურთის ხელში აღება, მას მიუსწრო კაიშაურმა და გაქვითა გოლი — 1:1.

დარჩენილ დროში ტორპედოელებმა კიდევ ერთხელ აიძულეს „სპარტაკი" ლრმა დაცვაზე გადასულიყო. რამდენიმე საგოლე მომენტის შემდეგ, 84-ე წუთზე ვეკუამ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა და ქუთაისელებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი. ეს იყო უადრესად საჭირო 2 ქულა.

ა. პლიევი.
(ტელეფონით).

სულ რაღაც 4 წამი...

დონეცკი. „შახტიორის" სტადიონი. 18 აპრილი.

„შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (თბილისი) 1:1 (0:0).

„შახტიორი": დეგტიარიოვი, პოლაკი, პოპოვი, დროზდენკო, პიანიხი, გრიგოროვი, პილიპჩუკი, ბილდიუკი, ეუკოვი (დუდინსკი), ევსეევკო, კოზინკევიჩი (იარემჩენკო).

„დინამო": კოტრიკაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხუციელავა, ხინჩიკაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 5:0 „შახტიორის" სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს ორლოვმა (2), ზახაროვმა (2), გრუბჩაკმა.

თბილისის „დინამოს" ტრადიციულად არ გამოსდის თამაში დონეცკში. ასე იყო უწინ, ასეა ახლაც. ვინ იცის, რამდენჯერ წაუფორხილებიათ თბილისელებს დონეცკში. როცა საუკეთესო სატურნირო მდგომარეობა ჰქონდათ. განვლილ შეხვედრაში საქმეც ისიც ართულდა, რომ მიშახტეთა ქალაქში 18 აპრილს გადაუღებლად წვიმდა და ატალახებული მინდორი უპირველესად დინამოელებს უშლიდა ხელს, რომლებიც მსპინძლებზე უფრო ტექნიკურად და სწრაფად თამაშობენ.

ინიციატივა თავიდანვე დინამოელებმა აიღეს ხელთ. ბურთის გატანის შესაძლებლობა მიეცათ გ. ნოდიებს. შორიდან რამდენიმეჯერ დაარტყეს კუტივაძემ და პეტრიაშვილმა, მაგრამ ბურთი მიზანს სცდებოდა. „შახტიორი" უმთავრესად კონტრიერიშებზე აკეთებდა თამაშს, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა პილიპჩუკი.

მაღალ ტემპში მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც. 52-ე წუთზე ასათიანმა კარგი კომბინაცია გაითამაშა ლ. ნოდიასთან, ამ უკანსკნელმა ცენტრში მიაწოდა თავის ძმას და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა თავური დარტყმით ანგარიში გახსნა — 1:0.

ამ წარმატებას კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი მოჰყვა, მაგრამ დონეცკელებმა შეძლეს მათი მოგერიება და შემდეგ ინიციატივამაც მათ მხარეს გადაინაცვლა. აქ თავი გამოიჩინა დინამოელთა მეკარემ ს. კოტრიკაძემ. იგი სულ ახლახან საწვიმოდ გაცილეს, მაგრამ ვინაიდან უოუშაიე ერთ-ერთ ვარჯიშზე საკმაოდ სერიოზულად დაშავდა. მისი შემცვლელი არ აღმოჩნდა და მწვრთნელებმა მეკარის საპასუხისმგებლო პოსტი ისევ კოტრიკაძეს მიანდეს და, უნდა ითქვას, რომ ვეტერანმა იმედი გაამართლა.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და მასპინძლები სულ უფრო აძლიერებდნენ იერიშებს. 82-ე წუთზე ხინჩიკაშვილი თავის საჯარიმო მოედანზე შეცდა, რის შედეგადაც კართან ახლოს უმეთვალყურეოდ დარჩა პილიპჩუკი, მან ხუსტად გამოიყენა მომენტი—1:1.

ორიოდე წუთის შემდეგ დეგტიარიოვმა მოიგერია ძნელი ბურთი, კიდევ ცოტა ხანი და კუტივაძემ დაკარგა გოლის გატანის საუკეთესო შანსი.

დინამოელთა ერთ-ერთი იერიშისას ლ. ნოდიამ მეტოქეს ბურთი წაართვა და კარში გაგზავნა. ვ. ლიპატოვმა არ ჩათვალა გოლი და როცა თბილისელებმა მას საამისო განმარტება მოთხოვეს, მსაჯმა მათ აჩვენა თავისი წამომზომი, რომელზეც 90 წუთის 4 წამი იყო გადაცილებული...

ნ. ჩხატარაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

„ლოკომოტივი" დასჯერდა ფრეს



თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 19 აპრილი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „რუბინი" (ყაზანი) 0:0.

„ლოკომოტივი": ბერიძე, გოგიჭანაშვილი, ჯანოვი, ფრიდმანი, მირიანაშვილი, ძაგანია, ჭოლაძე, ბახტაძე (ზხვაცაბაია), მაზიაშვილი, ხუციშვილი, მესხი.

„რუბინი": ლუკოვიჩი, კლიმანოვი, ზაიცევი, ვლასოვი, ფაიზულინი, ხავლეევი, მარამიგინი, პენზინი, ვორობიოვი, კოლოტოვი, კადიროვი (მინკინი).

მსაჯი ვ. სამოლაზოვი (დონის როსტოვი).

ყაზანის „რუბინთან" თბილისის ლოკომოტიველებს საკმაო ხნის ურთიერთობა აქვთ საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში და. როგორც სტატისტიკოსებმა „აღმოაჩინეს", ამ ორ გუნდს შორის საერთო თანაფარდობა არსებობს. უკვე ეს გარემოება იყო საკმარისი საიმისოდ, რომ თბილისელებს მთელი ძალით ებრძოლათ წარმატების მისაღწევად და დასაწინაურებლად. ამას გარდა, მათ თავისებურად ავალდებულებდა წინა მატჩის საუკეთესო თამაშიც, როცა მათ გამანადგურებელი ანგარიშით მოუგეს ლენინგრადის „დინამოს".

მაგრამ „ლოკომოტივს" თამაში არ გამოუვიდა. პირველი 10-15 წუთის აქტიური, სწრაფი, კომბინაციური იერიშების შემდეგ გუნდი ერთბაშად მოეშვა, დაკარგა მოქმედების მთლიანობა და ისე დაამთავრა მატჩი, რომ ვეღარ შეძლო ხელახალი მობილიზება. გახშირდა შეცდომები გადაცემებისას, ბურთის ზედმეტი ტარება. სტუმრებმა ამით კარგად ისარგებლეს და სასწრაფოდ გამოასწორეს მდგომარეობა.

მძიმე პირობებში მოხვდნენ ლოკომოტიველები მეორე ტაიმში, როცა მოლავრმა ზურგქარმა გაცილებით გაუადვილა ბრძოლა „რუბინს". ჰეხზინსა და საველი„ვს ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობანი შეექმნათ.

ამ სიტუაციაში თავისი სიტყვა თქვა მესხმა. უბალისოდ ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ იგი ახლა თავიდანვე სრული ძალით ჩაება თამაშში და აიძულა ყაზანელთა დაცვა აქეთ გადმოესროლათ მთელი ძალები. მესხი ადვილად სძლევდა მეტოქის დაცვის წინააღმდეგობას, მაგრამ მის გადაცემებს ცენტრში და მარჯვენა ფრთაზე არა ჰყავდა მხარდამჭერი და მარცხენა ფრთიდან მოწოდებული ბურთები „უგზოუკვლოდ" იკარგებოდა „რუბინის" საჯარიმო მოედანზე.

საბოლოოდ, „ლოკომოტივი" ფრეს დასჯერდა.

რ. ქოქრიძე.

ახალი გამარჯვება

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 18 აპრილი.

„დინამო" (ბათუმი) — „სალუტი" (ბელგოროდი) 3:1 (1:1).

„დინამო": პავლოვი, ჩხაიძე, ცინარიძე, სირბილაძე, ილურიძე, დიმანოვი, კვიტაიშვილი, გიორგაძე, ოვანესიანი, ჩხარტიშვილი, რამიშვილი.

„სალუტი": სიჩოვი, სტეპანეცი, სოლოვიოვი, გოლოვანი, ბულდაკოვი, ბურლაკი, კოტოვი, გორელოვი, პოპუგა, კრივოშეევი, ბოგდანოვი.

მსაჯი ვ. კობახიძე (სოჭი).

ხანგრძლივი წვიმის შემდეგ სათამაშო მინდორზე წყლის გუბეები იდგა და ფეხბურთელებს საგრძნობლად უჭირდათ უბარის გამოვლენა. მიუხედავად ამისა, მატჩი მიმდინარეობდა მაღალ ტემპში, საინტერეოდ. მე-7 წუთზე ცინარიძის შეცდომის შედეგად გორელოვმა შეძლო ანგარიშის გახსნა. ამ მარცხმა დინამოელთა მეტი მონდომება და აქტიურობა გამოიწვია. ისინი ტაიმის დასასრულამდე უტევდნენ „სალუტის" კარს და ეს იერიშები მალე გოლითაც დამთავრდა: დიმანოვი კარგად გავიდა მარჯვენა ფრთაზე, გადასცა ცენტრში ილურიძეს და... 1:1.

შესვენების შემდეგ ოვანესიანმა გამოცოცხლება შეიტანა თავდასხმაში. 70-ე წუთზე ბელგოროდელთა კართან დაინიშნა კუთხური. კვიტაიშვილის მიერ მოწოდებული ბურთი ზუსტად გაგზავნა კარში დიმანოვმა — 2:1. მართალია, ამის შემდეგ ბურლაკმა ხელსაყრელი მდგომარეობიდან ძელს მოახვედრა ბურთი მაგრამ შემდგომში ისევ ბათუმელებმა იმალაპარეს. მატჩის ბოლო წუთზე მეკარესთან პირისპირ დარჩენილი კვიტაიშვილი მოცელეს, რისთვისაც დინამოელებს მიეკათ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება. იგი ზუსტად გამოიყენა სირბილაძემ — 3:1.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით).



„დილა" წინ მიიწევს

გორი. ქალაქის სტადიონი. 18 აპრილი.

„დილა" (გორი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 2:1 (1:0).

„დილა": ქობულია, კოზინი, კობიაშვილი, ამბრიაშვილი, ნასარიძე, ეზუბბაია, ჭეიშვილი, გელდიაშვილი, კაპანაძე, პაპიაშვილი, კონიაშვილი (ჩიტაური).

„მეტალურგი": სუდაკოვი, ჩუბარევი, შალმიოვი, შჩებლიაკოვი, კუსუროვი, ზორკინი, გურბატოვი (ტრეტიაკოვი), ესკოვი, კობსკოვი, სიროხინი, ბაბურინი.

მსაჯი ა. საფაროვი (მოსკოვი).

„დილის" მატჩი ლიპეცკის გუნდთან ძალიან საინტერესო გამოდგა. გორელები სწრაფად თამაშობდნენ, რასაც სტუმრებმა კომბინაციური, მოფიქრებული კონტრშეტევები დაუპირისპირეს. „მეტალურგში" განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავდასხმა, რომელსაც ნახევარდაცვის სისტემატური მხარდაჭერა ჰქონდა.

პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ გამოიკვეთა გო ელთა პატარა უპირატესობა, ეს კი საკმარისი აღმოჩნდა საამისოდ, რომ 21-ე წუთზე კაპანაძეს აეღო მეტალურგების კარი — 1:0.

ლიპეცკელები მთელი მოხდომებით იბრძოდნენ საპასუხო ბურთის გასატანად და მაშინ, როცა მათ რამდენიმე საამისო მომენტი ჯერ გამოიყენეს, პაპიაშვილი 59-ე წუთზე ერთი-ერთზე დარჩა სუდაკოვთან და მეორედ აიძულა იგი ბადიდან გამოეტანა ბურთი.

მატჩის დასასრულს სტუმრები შეტევაზე იყვნენ. ერთ-ერთ მომენტში ძლიერად დარტყმული ბურთი მოხვდა კობიაშვილს და გავიდა კარში.

გ. გოგუალიშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).



ბოლო ჯერ

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 აპრილისთვის

	თ.	გ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	7	5	1	1	8—4	11
„დინამო" (თბილისი)	7	4	2	1	11—5	10
ცსკა	6	4	1	1	10—1	9
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	7	3	3	1	5—4	9
„დინამო" (მოსკოვი)	5	3	2	0	9—0	8
„ნევთჩი" (ბაქო)	6	2	4	0	7—2	8
ასკ (როსტოვი)	6	3	2	1	5—3	8
„არარატი" (ერევანი)	6	3	2	1	4—2	8
„სპარტაკი" (მოსკოვი)	7	1	5	1	9—7	7
„ტორპედო" (ქუთაისი)	7	2	3	2	5—5	7
„ტორპედო" (მოსკოვი)	7	1	3	3	5—9	5
„შახთაკორი" (ტაშკენტი)	7	1	3	3	6—16	5
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	6	1	2	3	3—5	4
„შახტიორი" (დონეცკი)	6	0	3	3	3—8	3
„ზენიტი" (ლენინგრადი)	6	1	1	4	4—10	3
„დინამო" (მინსკი)	6	0	2	4	2—6	2
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	6	0	1	5	4—13	1

ოქტომბერი

გუშინწინ გამართული სხვა მატჩები „ა" კლასის 1 ჯგუფის გუნდებს შორის ასე დამთავრდა: „სტრო�ტელი" (აშხაბადი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:1, „პამირი" (დუშანბე) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 2:1, „ალგა" (ფრუნზე) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:1, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — ასკ (საბაროვსკი) 1:0, „კარპატი" (ლვოვი) — „ყაირათი" (ალმა-ათა) 2:2, „მოლდოვა" (კიშინიოვი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 0:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „დინამო" (ლენინგრადი) 2:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 5:0, „ძალგირისი" (ვილნიუსი) — „დაუგავა" (რიგა) 2:2, „ვოლგარი" (ასტრახანი) — ასკ (კიევი) 2:0.

საჭადრაკო ცივ-ცხელება ბელგრადში

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „საუკუნის მატჩმა“ მთელი იუგოსლავია აიყოლია. ჭადრაკის ტიტანთა ბრძოლამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ევროპისა და ამერიკის ჟურნალ-გაზეთებმა ბელგრადში 300-მდე ჟურნალისტი მოავლინეს.

იუგოსლავიელთა სატასტო ქალაქში იმ დღეებში ყველაფერი ჭადრაკს ემსახურებოდა. ფერადი აფიშები, საგანგებო პროგრამები, ტელეგადაცემები ხალხს ისტორიული მატჩის ამბავს აუწყებდა. „სინდიკატების სახლში“ ტევა არ იყო. ბილეთები ყველა ტურზე მატჩის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გაიყიდა. გულშემატკივრებისთვის დიდ მოვლენაზე ერთ-ერთი პარტიის დემონსტრაცია ხდებოდა. ამ პარტიას მიკროფონით კომენტარებს უკეთებდა საერთაშორისო ოსტატი ბერტოკი.

ქუჩაში, ავტობუსში, ტროლეიბუსში ყოველ წუთს მოკრავდით ყურს მატჩის ირგვლივ საუბარს. უდიდესი რეზონანსი ჰქონდა ლარსენის განცხადებებს. ბევრი მის მოთხოვნას (მას პირველ დფაზე თამაში სურდა) სრულიად მართებულად მიიჩნევდა. როცა ლარსენმა თავისი გაიტანა, მას ბევრი ქომაგი კამოუჩნდა. ამ გულშემატკივრებმა ბოლოს გამარჯვებულ დანიელ დიდოსტატს ოვაცია მოუწყვეს.

ყველაზე დიდი პოპულარობით ფიშერი სარგებლობდა. ყველას მოსწონდა ამერიკელი დიდოსტატის ობიექტურობა ლარსენის პრეტენზიებიდ მიმართ. მაგრამ ყველამ როდი იცოდა, რომ ფიშერი მეორე დფაზე თამაშს მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა, თუ ძოგების შემთხვევაში ავტომანქანას მასაც მისცემდნენ (მანქანა „ფიატი-1300“ პრიზად მხოლოდ პირველ დფაზე გამარჯვებულისთვის იყო დაწესებული). ფიშერის ყოველი ნაბიჯი და ნათქვამი უმალვე გაზეთებში ქვეყნდებოდა.

ერთმა ჟურნალისტმა გამოთვალა, რომ მატჩის ორგანიზატორებს 723-ჯერ მოუდათ ფიშერთან დაკავშირება მისი პრეტენზიებიდ გამო. ამერიკელი მოჭადრაკის მოთხოვნები უბრალო ახირება არ იყო. მასპინძლებმა იცინი საამართლიანად ჩათვალეს და შეასრულეს კიდეც, თუმცა ძვირი დაუჯდათ. მაგალითად, დარბაზში დღის განათების მოწყობას 1.200.000 დინარი დასჭირდა.

როგორც წესი, ფიშერი თავს არიდებდა სურათის გადაღებას. იგი არც „საუკუნის მატჩის“ მონაწილეთა სამახსოვრო სურათზეა აღბეჭდილი.

— ფიშერს არ სჭირდება ისტორიაში შესვლა, ვინაიდან იგი თავად ისტორიაა! — იხუმრა ნაიდორფმა ამის გამო.

დიდი ინტერესი გამოიწვია ფიშერის განცხადებამ:

— ალბათ სამ-ოთხ წელიწადში დავკორწინდები. ამჟამად ოჯახისთვის დრო არ მრჩება, რადგან ტურნირებში თამაშს ვაკარებ.

ფიშერმა საოცარი კოლეგიალობა გამოავლინა გუნდის ინტერესებისთვის ბრთოლაში. ალბათ გახსოვთ მისი განცხადება სუსის საშინაოთაშორისო ტურნირში: მე ბობი ფიშერს წარმოვადგენ და არა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ბელგრადში პირიქით იგი ძალიან გახიცდდა თავისი კოლეგების ყოველ წარმატებასა თუ წარუმატებლობას.

მატჩის აზიერმა დაბურვაზე დოქტორმა მაჩს ეივემ აწორედ ამისთვის გამოუცხადა მას მადლობა.

ჩვენი მოჭადრაკეები მაღალ შეფასებას აღევდნენ ფიშერის ბრთოლისუნარიანობას. მაგალითად, საჭოთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ი. ბონდარევსკიმ ამერიკელი დიდოსტატი მსოფლიოს ულიერესთა ოთხეულში შეიყვანა სპასკის, პეტროსიანისა და კორჩნოის შემდეგ.

ამიერიდან ფიშერის ყოველი გამოსვლა უდიდეს ინტერესს გამოიწვევს. ეს ინტერესი კიდევ უფრო გააღვივა ამერიკელი დიდოსტატის „ბრწყინვალე გამარჯვებამ ელვისებურ ტურნირში, სადაც მან II ადგილზე გასული ტალი 4,5 ქულით ჩამოიტოვა. მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილი მოჭადრაკეები ელვისებურ პარტიებს შესანიშნავად თამაშობდნენ მათი შემოქმედების აყვავების პერიოდში. სპეციალისტების აღიარებით, ფიშერიც მათ რიცხვს ეკუთვნის.

საინტერესო წერილები იბეჭდებოდა იუგოსლავიის გაზეთებში. ერთ გაზეთში, მაგალითად, ყველა მოჭადრაკის დახასიათება წავიკითხე. ფიშერზე წერდნენ: „უფრო ნიჭიერია, ვიდრე თავად იცის“, ტაიმანოვზე — „უფრო მუსიკალურია, ვიდრე სხვა დიდოსტატები“.

უდიდესი პატივისცემით იყო გამსჭვალული საბჭოთა ჭადრაკის ვეტერანებისადმი მიძღვნილი წერილები. წერდნენ, ბოტვინიკმა, კერესმა და სმისლოვმა მოლოდინს გადაჭარბესო. ასევე აქებდნენ არგენტინელ ნაიდორფს, რომელსაც 60 წელი შეუსრულდა.

ნაიდორფმა თქვა: „ოთხ პარტიას სხვაზე ნაკლებად არც მე ვითამაშებ, ტურნირში მონაწილეობა კი სულ სხვაა, საამისოდ ძალა არ მეყოფა და ალბათ არც გამოვალ საზონთაშორისო ტურნირში“.

იუგოსლავიელი მომომხილველები იწოხებდნენ პორტიშის წინდახედულობას და ჯორტის სერიოზულობას. მატულოვიჩზე წერდნენ, ბოტვინიკის ავტორიტეტი აშინებსო.

ცალკე მსჯელობის საგანი გახლდათ „საუკუნის მატჩის“ საერთო ანგარიში. აღნიშნავდნენ. საბჭოთა გუნდის ლიდერები სპორტულ ფორმაში არ იყვნენ. ჩვენს მოჭადრაკეებზე უარყოფითი ფსიქოლოგიური ზეგავლენა ეოაზდინა სპასკის მოულოდნელმა წაგებამ ლარსენთან მესამე პარტიაში. გაზეთები წერდნენ, ამ ტრაგედიამ ისე იმოქმედა, მაგალითად, ტაიმანოვზე, რომ მან მოგებული პოზიცია ვერ მოიგო.

მატჩის დახურვაზე ეივემ თქვა, რომ კმაყოფილია თავისი გუნდის შედეგებით: ჩვენ მოვიგეთ მატჩი 9 დაფაზე, ხოლო საბჭოთა გუნდს გაძარჯვება დიდოსტატმა კერესმა მოუტანა.

„საუკუნის მატჩის“ შემდეგ ფიშერმა გაზეთ „პოლიტიკას“ კორესპონდენტს უთხრა:

— ეს მატჩი ეპოქალური მოვლენა გახლდათ. იგი შესანიშნავად იყო მოწყობილი, მოჭადრაკეებს თამაშისთვის საუცხოო პირობები ჰქონდათ შექმნილი. ჩემი აღდეგინ კმაყოფილი ვარ, თუმკა ბოლო ორი პარტია კარგად ვერ ვითამაშე. საბჭოთა გუნდი ძლიერად თამაშობდა. ვფიქრობ, მატჩს ჩვენ მოვიგებდით, ბოლო დფებზე ძლიერი მოჭადრაკეები რომ გვყოლოდა.

ლარსენმა შენიშნა:

სურათზე: გაზეთ „პოლიტიკას“ გამოშვებული სპეციალური პროგრამის ყდა.

● ●

— მატჩი საინტერესო იყო. შეჯიბრება მეორედ კიდევ უკეთესი იქნება, თუ მას შევინარჩუნებ სისტემით (ერთი გუნდის ყველა წევრი მეორე გუნდის ყველა წევრს ხვდება. — რედ.) ჩავატარებთ. გათამაშდა ბევრი საინტერესო პარტია, რომელთაგან ფიშერ — პეტროსიანის მატჩის პირველ პარტიას გამოვყოფდი.

ტიტანთა ბრძოლას პეტროსიანის, კორჩნოისა და სმისლოვის მეუღლეებიც დაესწრნენ. შეჯიბრების დახურვაზე ისინიც დასაჩუქრეს — XV საუკუნის მხატვართა ტილოებით. მატჩის ყველა მონაწილემ გასამრჯელოდ 400-400 დოლარი მიიღო.

ერთხელ გაზეთში წავიკითხე: „მხიარულმა და სტუმართმოყვარე ნაიდორფმა ფულის ხარჯვაში რეკორდი დაამყარა“. ტურნირის თითოეულ მონაწილეს კვებისთვის შეეძლო დაეხარჯა ნებისმიერი თანხა, რომელსაც შემდეგ მასპინძლები იხდიდნენ. ნაიდორფი ყველაზე ხელგაშლილი აღმოჩნდა.

როგორც ვთქვით, ავტომანქანა მხოლოდ პირველ ორ დფაზე გაძარჯვებულისთვის იყო ჯილდოდ დაწესებული. როცა ცნობილი გახდა, რომ ავადმყოფობის გამო სპასკი მეოთხე პარტიას ვერ ითამაშებდა, ორგანიზატორებმა არჩევანი ლარსენს შესთავაზეს. რაკი სპასკისთან მისი მატჩი ყაიმით დამთავრდა, ავტომანქანის ღირებულება ორივესთვის უნდა გაეყოთ. თუ ეს არ გსურთ, აუცილებლად უნდა მოუგოთ მტერს, მაგრამ თუ წააგეთ, მაშინ ვერაფერს მიიღებთო. ლარსენმა ჯილდოს გაყოფა ამჯობინა, ფიხიდეხ ნტეინთან ჯამარჯვებაში არ იყო დარწმუნებული.

ფიშერმა ავტომანქანა „მოსკვიჩ-412“-ის ნაცვლად მისი ღირებულების მიღება არჩია.

„საუკუნის მატჩი“ უაღრესად მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ერთი ჰატარა ინციდენტიც არ მომხდარა. მონაწილენი, მსაჯები, გულშემატკივრები მოწადინებული იყვნენ, რომ ეს დიდი ასპარეზობა დაუვიწყარ ზეიმად ქცეულიყო. ეს მართლაც ჭადრაკო ხელოვნების ჭეშმარიტი დღესასწაული გახლდათ.

სასტუმრო „მეტროპოლის“ რესტორანში იუგოსლავიელებმა გამოჩენილ მოჭადრაკეებს შესანიშნავი და გულუხვი მასპინძლობა გაუწიეს. დარბაზობაზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ჭადრაკის სადიდებლად, მის დიდ მოღვაწეთა საქებრად.

ა. ბიბინაძე,
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბელგრადი — თბილისი.

პირველი მარცხი. [illegible]

ნოემბერსა ნოემბერსში დამთავრდა სსრ კავშირისა და გდრ-ის მოცურაველთა IX ტრადიციული ამხანაგური მატჩი. მანამდე ჩვენში და გდრ-ში გამართულ ყველა სხვა შეხვედრაში გუნდური გამარჯვება სსრ კავშირის სპორტსმენებს რჩებოდათ, ახლა კი ტრადიცია დარღვა.

გდრ-ის სპორტი ბოლო წლებში არნახულ აღმავლობას რომ განიცდის, ეს მოცურაველთა შეჯიბრებასაც შეეტყო. IX მატჩის პირველ დღეს მასპინძლები გაიკრნენ წინ, მაგრამ მეორე დღეს სტუმრებმა ჯერ გათანაბრეს მდგომარეობა, მერე კი 34 ქულით დაწინაურდნენ. სხვათა შორის, ამ წარმატებას მათ უმთავრესად ქალთა გუნდის წყალობით მიაღწიეს. სსრ კავშირის მოცურაველები მესამე დღეს შეეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას: პროგრამით გათვალისწინებული 10 სახეობიდან 5 მოიგეს, მეტოქეებზე მეტი საპრიზო ადგილიც მოიპოვეს. მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ 17 ქულის გაკვითვა შეძლეს და 1957 წლიდან ეს პირველად დამარცხდნენ — 163:181.

ტურნირში მონაწილეობდა თბილისელი სპორტის ოსტატი თ. ლეკვეიშვილიც. მან შეჯიბრების მეორე დღეს, 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში აიღო სტარტი. როგორც ყველა სხვა სახეობაში, აქაც მეტოქეებს სტარტზე 3-3 სპორტსმენი გამოჰყავდათ. სსრ კავშირის გუნდის ინტერესებს დაცვა ლეკვეიშვილთან ერთად ბურბელოსა და კომაროვასაც ევალებოდათ, გდრ-ის ტრიოში კი შედიოდნენ ცნობილი სპორტსმენები ჰოფმაისტერი, ჰილგერი და მარტინი.

სტუმრებმა თავიდანვე ენერგიულად დაიწყეს. ლეკვეიშვილი, რომელსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში გერმანელები რამდენიმეჯერ დაუმარცხებია, მათგან ასეთ სწრაფ ტემპს არ ელოდა. ეგონა, სტუმრები დაძაბულობას ფიხიშამდე ვერ გაუძლებენო და... სამავესთან წააგო. ჰოფმაისტერმა გდრ-ის რეკორდი (2.28,0) გაიმეორა. II ადგილზეა ჰილგერი — 2.31,3, III — მარტინი — 2.31.8. ლეკვეიშვილის შედეგია 2.33.1. მაგრამ თინათინის მარცხი შემთხვევითი რომ იყო, ეს ქართველმა სპორტსმენმა ტურნირის ბოლო დღეს, 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში დაადასტურა. მისი მეტოქე ახლაც ის ხუთეული გახლდათ, ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე კი მაინც ჰოფმაისტერი იყო. გამარჯვებულმა ლეკვეიშვილმა (1.09,5) ჰოფმაისტერს 0,3 წამით აჯობა. III ადგილზე გასული ჰილგერის შედეგია 1.10,3.

როგორც ვწერდით, შეჯიბრება რეკორდების მხრივ უხვმოსავლიანი იყო. თანაც, მეგობრული ტურნირის მონაწილეები მარტო ეროვნულ რეკორდებს როდი დასჯერდნენ — კონტინენტის რეკორდებიც გაუმჯობესეს და მსოფლიო რეკორდებსაც გადასწვდნენ. ტურნირის ბოლო დღეს ჰოფმაისტერმა, პუცმა, ლინდნერმა და ვეცკამ 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში ევროპის ახალი რეკორდი (4.30,2) დაამყარეს, რაც კონტინენტის ძველ მიღწევას 4,6 წამით სჯობს. სსრ კავშირის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ლეკვეიშვილიც გამოდიოდა, ქვეყნის რეკორდი (4.35.7) გაიმეორა. ვანთა ამავე ესტაფეტის პირველ ეტაპზე გულაღმა ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მათესმა (გდრ) თავისივე მსოფლიო მიღწევა (57,8) გაიმეორა. ესტაფეტა სტუმრებმა მოიგეს — 3.58.8. მასპინძლები მათ 0,2 წამით ჩამორჩნენ.

გაგაცნობთ სხვა რეკორდებს: მოსკოვის საოლქო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. ლიტვინოვამ 200 მ თავისუფალი სტილით 2 წუთსა და 16 წამში გაცურა. ეს შედეგი 17 წამით სჯობს ნ. სუზოვცევას ძველ საკავშირო რეკორდს. 200 მეტრზე ბატერფლაით მოსკოველმა მოსწავლემ ვ. ტუტაევამ გოგონათა საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა — 2.30.8. ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი დაამყარა ა. სამსონოვმა, რომელმაც თავისუფალი სტილით 4×200 მეტრზე ესტაფეტის პირველი ეტაპი 2 წუთსა და 0,3 წამში გაცურა. ბოლო დღეს 400 მ თავისუფალი სტილით მანვე 4 წუთსა და 16,4 წამში დაფარა. ესეც ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდია.

△ ᲔᲥᲡᲘ. საფრანგეთის მოცურაველთა საგაზაფხულო ტურნირში რამდენიმე მაღალი შედეგი იქნა ნაჩვენები. 200, 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო ლეტასტმა — 2.00.9; 4.18,9 და 17.21.6. ბერეუომ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ქვეყნის ახალი რეკორდი (2.15,1) დაამყარა. მანვე მოიგო ამ სტილით 100 მეტრზე ასპარეზობაც — 1.03,2. ქალებში თავისახელა მანდონომ, რომელიც პირველი იყო თავისუფალი სტილით 100 (1.02,7), 200 (2.18.0) და 400 (4.54,4) მეტრზე ცურვაში.

△ ᲙᲔᲚᲪᲘ. პოლონეთის ამ ქალაქში გაიმართა პოლონელ და ბულგარელ მოცურაველთა მატჩი, რომელშიც 9 ეროვნული რეკორდი გაუმჯობესდა, აქედან, 7 — მასპინძლებისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბულგარელი სლავჩევას წარმატება. მან რეკორდები დაამყარა 100 მეტრზე ბატერფლაით (1.09,5) და 200 მეტრზე კომბალეტურ ცურვაში (2.35,7). 2 რეკორდი დაამყარა პოლონელმა ქალმა ანტონიამაც: 100 მ ბატერფლაით (1.11,6) და 200 მ ამავე სტილით — 2.37,7.

△ ᲑᲣᲠᲐᲣ. ბოსტონის მარათონისთვის მზადების ნიშნით აქ ჩატარდა ფინელ მარათონელთა შეჯიბრება, რომელიც პ. რომაკომ მოიგო — 2:22.49,0. კ. ჰაკარაინენი მას 0,4 წამით ჩამორჩა.

ᲥᲕᲔᲓᲐ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲨᲘ

„ა“ კლასის II ჯგუფის წყალბურთელთა საკავშირო პირველობის თბილისში დამთავრებულმა პირველმა წრემ ადგილობრივ გუნდებს სახარბიელო მდგომარეობა როდი შეუქმნა. „ბურევესტნიკიცა“ და „ლოკომოტივიც“ ცხრილის ქვედა სართულში არიან, მაგრამ უიმედოდ ჩვენი მტერი იყოს: წინ მეორე წრეა, რომელიც სექტემბერში ხარკოვში მოეწყობა.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვის ოლქი)	9	7	2	0	37—25	16
„სპარტაკი“ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ)	9	6	2	1	36—30	14
„დინამო“ (ხარკოვი)	9	6	1	2	46—29	13
„დინამო“ (ლვოვი)	9	5	0	4	42—32	10
„ბურევესტნიკი“ (მოსკოვი)	9	4	2	3	33—32	10
„ბურევესტნიკი“ (მინსკი)	9	2	3	4	29—34	7
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	9	2	3	4	29—35	7
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	9	2	2	5	41—47	6
„სპარტაკი“ (ასტრახანი)	9	1	3	5	29—36	5
„ბურევესტნიკი“ (კიევი)	9	1	0	8	30—52	2

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲠᲘ — „600-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ“ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ

ალბათ მსოფლიოს არც ერთი ძალოსანი ისეთი შესაშური შეუბოვრობით არ უტევს მსოფლიო რეკორდებს. როგორც შვედი ათლეტი ჰ. ბეტენბორგი (ხაშუალო წონა). უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე მან ათჯერ მაინც გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი აჭიმვაში. ამ ორიოდე კვირის წინ ბეტენბორგმა ჯერ 173, მერე 174 კგ აჭიმა, სულ ახლახან კი თავისივე მსოფლიო რეკორდს კიდევ ნახევარი კილოგრამი წაუმატა.

ზემძიძე წონის ფინელმა ძალოსანმა კ. ლაჰდენრანტამ ჩრდილოეთის ქვეყნების რეკორდი დაამყარა აჭიმვაში — 195 კგ, გაიმეორა რეკორდები ატაცსა (170 კგ) და აკვარაში (215 კგ). ჩრდილოეთის ქვეყნების ახალი რეკორდი დაამყარა მან სამჭიდშიც — 580 კგ. აღსანიშნავია, რომ ეს შედეგი შესანიშნავი საბჭოთა ძალოსნის ი. ვლასოვის უოფილ მსოფლიო რეკორდს უდრის და V-VI ადგილებს იუოფს მსოფლიო ძალოსნობის ისტორიაში.

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, ბელგიელმა ხ. რედინგმა ორი შესწორება შეიტანა მსოფლიო რეკორდების ცხრილში. მან დამატებით, მეოთხე ცდაზე 215 კგ აჭიმა, რაც კილოგრამით სჯობს საბჭოთა ძალოსნის ხ. ბატიშჩევის წინანდელ მიღწევას. აკვარაში ბელგიელი ბიბლიოთეკარის მაჩვენებელია 222,5 კგ, რაც აგრეთვე კილოგრამით სჯობს საბჭოთა ათლეტის ვ. ალექსეევის წინანდელ რეკორდს. ბრწყინვალე მაჩვენებელი აქვს რედინგს სამჭიდშიც — 592,5 კგ. ეს ალექსეევის ფენომენალური მსოფლიო რეკორდის (600 კგ) შემდეგ მეორე შედეგია მსოფლიო ძალოსნობის ისტორიაში.

ორიოდე დღის შემდეგ ვილნიუსში იწყება სსრ კავშირის ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატი, სადაც თავს მოიყრიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ათლეტები. იმედი ვიქონიოთ, რომ ძალოსნობის მოყვარულთ ბედნიერი წუთები ელით.

რედაქტორი მ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ